2022-2023 სასწ.წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2022-2023 სასწ.წლის სამოქმედო გეგმის დიდი ნაწილი შესრულდა, თუმცა არსებობს საკითხები, რომელთათვისაც, სამწუხაროდ, არ გვეყო დრო და რესურსი, რის გამოც მათი მოწესრიგება ვერ მოხერხდა; კერძოდ, ასეთ საკითხებს მიეკუთვნება:

საბუღალტრო მომსახურების აუთსორსზე გატანა, ელ. დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვა და სკოლის მშენებლობის პროექტზე მუშაობის განახლება, რომელთა მოგვარებაც 2023-2024 სასწავლო წლისთვის გადაიდო.

გარდა ამისა, არსებობს საკითხები, მაგ., ელ.ჟურნალის მუშაობის დახვეწა, სკოლის შინაგანაწესზე მუშაობა, რომლებზე მუშაობაც თუმცაღა დავიწყეთ, მაგრამ, ვფიქრობთ, მეტი ძალისხმევით არის გასაგრძელებელი. ასეთივე საკითხებს მიეკუთვნება

მშობლებისთვის პედაგოგიკური საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების შეთავაზება - ჩატარება, რაც სკოლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საქმიანობად უნდა იქცეს.